აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის

ბრძანება № 04/3.

ქ. თბილისი „23" 01 2023

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის" პროგრამის (პროგრამის კოდი: 06 05) დამტკიცების შესახებ

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 25 ივლისის #33 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის" პროგრამა (პროგრამის კოდი: 06 05) დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სამინისტროს ადმინისტრაციას უზრუნველყოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა კანონით დადგენილი წესით.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, ანა კალანდაძის ქ.#7ა) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

საფუძველი: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის თანაშემწის, პროგრამის კოორდინატორის ბესიკ ოდიშარიას სამსახურებრივი ბარათები (#54991, 20/01/2023წ.).

მინისტრი **ეკა ხოფერია**

საქართველო, თბილისი, 0102 დიმიტრი უზნაძის ქ. 68 ტელ: (032) 2-95-07-52,
ელ-ფოსტა: www. meca.gov.ge

63516